# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:
წლიურათ . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . 3 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 140
წელიწადი მეორე
1913
სამშაბათი, 10 სეკტემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ИМЕРЕТИ".

ტელეფონი № 149.


იერემია ექვთიმეს-ძე ქვანია და მეუღლე მისი ანა გიორგის ასული, ეფროსინე პროკოფის ასული ქვარიანისა, ნატალია გიორგის ასული ქვანიასი და მიხეილ გიორგის-ძე ქვარიანი გულ-დათუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ—პირველნი უსაყვარლესი შვილის, მეორენი ძვირფასი შვილის-შვილის, ხოლო უკანასკნელნი უძვირფასესი ძისწულის

## გოგის (გიორგის)

უდროვოთ გადაცვალებას.

გამოსვენება დანიშნულია საკუთარი სახლიდან (ქვარიანების ქუჩა) ამა ენკენისთვის ათს, სამშაბათს ნაშვადღევის 4 1/2 საათზე; დაკრძალვა-საფიჩხიის სასაფლაოზე.

---

ხოსიმე ექვთიმეს ძე, შვილები—ივანე და ვენერა, ექვთიმე ნიკოლოზის ძე აბზიანიძეები და მაია ნიკოლოზის ასული კვერნაძისა აუწყებენ—პირველი ძვირფასი მეუღლისა, მეორენი საყვარელი დედის, ხოლო დანარჩენნი დაუვიწყარი რძლის რაფიელ ფინიაშვილის ასულის

## პელაგიას

გადაცვალებას, რომლის გამოსვენება დანიშნულია საკუთარი სახლიდან (ლაგირის ქუჩა № 9) ენკენისთვის 12-ს, ხუთშაბათს, ნაშვადღევის 4 საათზე. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 5 საათზე.

---

ივლიტე მელიტონის ასული მეძმარიაშვილისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 12 სეკტემბერს სოფელ ეწერ-ბაში მაცხოვრის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი მეუღლის

## პეტრე ევნატცეს მის მეძმარიაშვილის

სულის მოსახსენებლათ.

---


ვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ ქუთაისის საზოგადოებას, რომ თფილისის ქუჩაზე ქალაქის აფთიაქის გვერდით, ჩვენ ძმ. გრიგოლაშვილებმა მოვაწყვეთ ახალი რესტორანი

## ფაზისი

სადაც შეიძლება იშოვოთ ახალი სანოვაგისაგან გაკეთებული საუზმე, სადილი და ვახშამი ქართული და ევროპიული იაფ-ფასათ; ყოველგვარი ღვინოები, ტკბილი სასმელები და ცივი მინერალური წყლები.

რესტორანში დაცულია სიწმინდე და თავაზიანი მოპყრობა მოსამსახურეების

---

## კ. ი. ოცხელის

### ახალი წიგნის მაღაზია

(ქ უ თ ა ი ს შ ი).

შუამავლობას უწევს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებსა და ბიბლიოთეკებს, და უთმობს მათ

## უდიდეს პროცენტს.

კ. ი. ოცხელის წიგნის მაღაზიის საკუთარ ახალი გამოცემები: დაიბეჭდა და იყიდება, საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა მესამე გამოცემა, ფასი უდით 2 აბაზი

იბეჭდება მოკლე ქართული გრამატიკა ი. ნიკოლეიშვილისა მეორე გამოცემა ფასი უდით 1 აბაზი. 10—1

---

## განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამ 1913 წლის 25 მარიობისთვიდან.

### ქალთა პროფესიონალურ შკოლაში

დაიწყება ბავშების მიღება დილის 9-2 საათამდი. წლიური გადასახადი განყოფილებებში 20 მან. კლასებში-კი 25 მანეთი. წელს გაიხსნება მე-3-მე კლასი.

შკოლის უფროსი მ. დუნდუა.

შკოლის მისამართი: ბზრინის შესახვევი სტ. ფირალოვის სახლებში.

---

## თ. ა. მთავრიშვილის

## წიგნის მაღაზია

აუწყებს მასწავლებლებს, მოსწავლეებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს, რომ ამა 1913—14 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს

## დიდძალი სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელიც იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშვალო სასწავლებლებში.

**ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმის ტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხ., რასაც **ძალიან დაკლებულ ფასათ** დაუყონებლივ მივაწვდით **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან.

მისამართი: **ქუთაისი**, ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან.

---

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ბალანჩივაძისა

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე უცრი ყვავილსაც. გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

---

**აქიმი** კ. ი. აშიანცი დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა. ივანოვის ქ. ბ აშიანცის სახლი.

---

**ა ქ ი მ ი** კ. თ. ტყეშელაშვილი.

ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი ვენერიული კანის**) ახალ ბინაზე: ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან. პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში.

---

**აქიმი** ვ. ა. ნემსაძე ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი.

---

## ქუთაისის ქართულ გიმნაზიის

მერვე კლასის მოსწავლე ვუსწორებ გაკვეთილებს მოსწავლეებს მეოთხე კლასამდი ხელმისაწდომ ფასში. ვინაობის გაგება შეიძლება გაზ. „იმერეთი"-ს რედაქციის კანტორის გამგესთან.

---

## აქიმი ი. ჩარექოვი

იღებს **კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში.

---

...ც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროსებს

## ...ᲐᲠᲝᲡᲘ

25 ცალი 3 შ. | 10 — 6 კ. — იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

...როსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოვო გემოვნებით.

...თუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.

---

## ПО СЛУЧАЮ ОТЪѢЗДА

**...РОДАЕТСЯ** очень дешево дача въ Сурамѣ, большой двухэтажный домъ; полторыдѣсятины земли; изъ нихъ полъ десят. сосно...рощи съ флигелемъ; съ банковскимъ долгомъ, объ условіяхъ ...узнать: г. Кисловодскъ до востебованія, *Генеральше Акуловой.*

ავარაკ სურამში, საიდანაც მივდივართ,

## იაფათ იყიდება

...ორსართულიანი სახლი, ერთ-ნახევარი დესეტინა მიწით. ნახევარ დესეტი...ნაძვნარია, ფლიგელით, ბანკის ვალით. პირობების შეტყობა შეიძლება ამ ...ართით: კისლოვოდსკში ღენერლის მეუღლეს ია კულოვისას (до востребованія).

---

## ჭრა-კერვის

### სპეციალური სახელოსნო

...ულობ ქალთა ყოველგვარ ტანსაცმელს შესაკერათ, ხელმისაწდომ ფასათ. შეკვეთილს ვასრულებთ თავის დროზე და პირნათლად.

...მისამართი: თფილისის ქ. ქალაქის აფთიაქის პირდაპირ, ჯაშიკოვის სახლი.

პატივისცემით სამ ჭუონაია.

---

შინაგან სნეულებათა **ა ქ ი მ ი**

**ნიკ. ივ. შენგელია.** მიღება: დილით 9—11 ს., საღ. 5—7. გენერლის (გოგებაშვილის) ქუჩა, საკ. სახლი.

---

აქიმი ვ. ი. კავიტელაშვილი

საზღვარგარეთ გამგზავრების გამო დროებით ავათმყოფებს ველარ მიიღებს. 4—15

---

## იყიდება

ქუთაისში "პოდგორნი" ქუჩაზე რიონის პირისკენ ორსართულიანი ქვიტკირის სახლი სარდაფით.

მისამართი: „პოდგორნი" ქუჩაზე ზაინკალი (слесарь) ერმილე ქორიძე.

---

## დავკარგე

ვადა გასული საზღვარ გარეთელი პასპორტი, მნახველს უმორჩილესად ვთხოვ გაზ. „იმერეთის" რედაქციის გადასცეს.

**სტუდენტი კ. გამსახურდია.**


---

## ახალი ამბავი.

ქალაქის თვითმართველობის ყურადღებას ერთხელ კვლავ მივაპყრობთ შემდეგ გარემოებას. ქალაქმა ხარჯი გასწია და აფიშებსა და სხვა განცხადებათა გასაკრავათ ქალაქის ქუჩებში პატარა კოშკები დასდგა, მაგრამ განცხადებანი და აფიშები სახლის კედლებსა, ბაღის სვეტებსა და სხვაგანაც იკვრება, უშნოვდება ყველაფერი. თვითმართველობამ ეს კოშკები უცხო პირს მიაქირავა, რომელიც იჯარას იხდის და, სხვაც რომ არ ისოს რა, მოიჯარადრის უფლებაც ილახება, მხოლოდ ესეც კია, რომ მოიჯარადრემ არ უნდა ისარგებლოს ამ უფლებით და გადაჭარბებული ნიხრი არ უნდა დააწესოს განცხადების გაკვრისთვის.

✦ ქუთაისელი აქიმების მიერ გახსნილი ახალი კერძო საავათმყოფო ქალაქის შვაგულ, მომარჯვებულ ადგილსაა. საავათმყოფოში ამ თავითვე თვალსაჩინო სისუფთავეა დაცული, ჰაერი კარგი, რიონის პირათ და ბინაც მოხერხებული. ვუსურვებთ კარგათ დაწყებულ საქმეს ბოლოც კარგი ქონოდეს მცხოვრებთა სასარგებლოთ.

✦ დეპუტატი კერენსკის მიერ ლექციების წაკითხვა ვერც თფილისსა და ვერც ქუთაისში ვერ მოეწყო. ღვთისმშობლობას დეპუტატი გელათს გაემგზავრა და კარგი შთაბეჭდილებით დაბრუნდა გელათის ტაძრისა და სიდღესასწაულოთ შეგროვილი მრავალი ხალხის ნახვით. გუშინ ქიათურას გაემგზავრა და იქიდან ბათომით რუსეთს წავა 10—11 ეკენისთვეს.

✦ თფილისის სამოსამართლო პალატის სესია ჩამოვიდა და საქმეების გარჩევას შეუდგა.

✦ პირველი რაიონის სახალხო შკოლათა ინსპეკტორს ბ-ნ გროზდოვს სოფლის შკოლების მასწავლებლებისთვის მიუწერია, რომ რუსული ენის შემდეგი სახელმძღვანელოები შემოიღონ: პირველი ნაწილი—გოგებაშვილისა, მეორე ნაწილი—გრიგორიევისა და ოლენინის და შემდეგ ზედგინიძისა და ჯაფარიძის სახელმძღვანელო. ამგვარათ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მეორე ნაწილს, რომელიც ახლა შეასწორა, დაბეჭდა და მე-16 გამოსცა წ. კ. საზოგადოებამ, ქუთაისის დირექციაში ადგილი არ ექნება. ქალაქის შკოლებში კი მასწავლებლები გოგებაშვილის წიგნებს ხმარობენ.

✦ როგორც გადმოგვცეს, ღანირის ორკლასიანი სამინისტრო შკოლის გამ-

გეს ბ-ნ ბალავაძეს ადგილობრივი ეკლესიისთვის მგალობელთა რუსული გუნდი მოუწყვია და „ღოსპოდი პომილუითი“ უმასპინძლდება სალოცავათ მოსულ რუსულის უცოდინარ ხალხს. ნეტა რამ აიძულა ბ-ნი ბალავაძე, რომ თავის თავსა და ბავშვებსაც ასე აწვალებს და აჯახირებს. ნუთუ არც ადგილ ბრივმა ღვდელმა და არც ვინმე მრევლთაგანმა არ შენ შნა და არ დაუშალა ასეთი „მატრაბაზობა“?!

✦ 11 ეკენისთვეს ქუთაისში ჩამოვა და ქალაქს თეატრში გასტროლი ექნება მოცეკვავე ქალს არტემისა კოლონას ამ მოცეკვავი ქალმა ყველგან დიდი ყურადღება მიიპყრო.

✦ წელს წყალ-გაღმა ნაწილში ქალაქის მესამე პირველდაწყებით სასწავლებელს ‑უარებელი ბავშვები მოაწყდა: მთხოვნელთა რიცხვი 130-დე ავიდა, აქედან მხოლოდ ნახევარი დააკმაყოფილეს. საჭიროა, წყალ-გაღმა ნაწილში გაიხსნას მეორე პირველი დაწყებითი სასწავლებელი ორპირის ქუჩის ბოლოს, საჭიროა, არსებულ შკოლებში მეოთხე განყოფილებანიც გაიხსნას, რომ შემდეგ კურს დასრულებული ბავშები ადვილათ შევიდენ სიმოქალაქო სასწავლებლის მესამე კლასში, რომელიც მომავალი წლიდან ამ სასწავლებლების ტიპების შეცვლისა გამო, პირველ კლასათ დარჩება და სამი განყოფილების დასრულებას შემდეგ ბავშს მთელი წელიწადი დასჭირდება მზადება, რაც მცხოვრებლებისთვის უხერხულია.

✦ დორპატის ქართულ სათვისტომოსგან შემდეგი სამგლოვიარო დეპეში მივიღეთ: „ქართული სათვისტომო ღრმათ დაეწუხრებული ჩვენი საზოგადოების საუკეთესო წევრთა გიორგი გულბანის და პახომ ხუნდაძის დაკარგვის გამო. სამშობლომ ორი ერთგული შვილი დაკარგა. პანაშვიდი გადავიხადეთ“.

✦ ალაგირში, სადაც დიდძალი ქართველობა სცხოვრობს, მთავრობას ნება დაურთავს შკოლაში მასწავლებლათ ქართველი დაინიშნოს, თუ ვინმე გამოჩნდება მსურველი და შესაფერი ამ თანამდებობისთვის. ჯამაგირი ხაზინიდან მიეცემა. ვისაც სურს ამ ადგილის მიღება უნდა მიმართოს თხოვნით და თავისი საბუთებით ქალთა ეპარქიალური სასწავლებლის ინსპექტორს ტ. ჯაფარიძეს. მთხოვნელს საშუალო განათლება უნდა ქონდეს მიღებული და გალობა უნდა იცოდეს.

✦ გ. მუმლაძე თარგმნის ბერნარდის ცნობილ თხზულებას: „პოლონელთა ბრძოლა თვითმართველობისათვის პრუსიაში“.

✦ ღვდელს ს. კვაჭაძეს ბათომსა და ქუთაისს შუა მატარებელში ორაგაის მაცხოვრის ეკლესიის ბეჭედი დაუკარგავს.

## ჩვენი შკოლები.

### VIII.

ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას და სახალხო შკოლების დირექციას შორის თითქმის ერთი წლის წინათ ატეხილი ომი უკვე დასრულდა.

დამარცხდა დირექცია; ბ.ბ. კრუპსკიმ და გროზდოვმა მიზანს ვერ მიაღწიეს, მათ ვერ განახორციელეს ის სამარცხვინო პოლიტიკა, რომლის ქსელში გაბმულია დღეს ჩვენი სახალხო მასწავლებლების უმეტესი ნაწილი.

გაიმარჯვა თვითმართველობამ: ოლქის უფროსმა კანონიერათ იცნო ბ.ბ. ოდიშარიასა და ნაცვლიშვილის მიერ „81 წლის პლანის“ დაცვა და დირექციის უკანონო მოწერილობის შეუსრულებლობა.

დღეს დირექტორი კრუპსკის მოწერილობა, ერთხელ უკვე დადასტურებული მზრუნველის მიერ, გაუქმდა და უკანონოთ დასჯილ მასწავლებლებს თავთავიანთი ადგილი დაუბრუნდა.

ცხადია—თვითმართველობის გამარჯვება საზოგადო ხასიათისაა, ესე იგი, ამ გამარჯვებამ ნათლად დაგვანახა, რომ დირექცია-ინსპექციის წარმომადგენლებს არ აქვთ არავითარი უფლება მოითხოვონ მასწავლებლებისგან „81 წლის პლანის“ უარყოფა და აწარმოვონ შკოლების საქმე თავისს პირადი განზრახვისა და სურვილის მიხედვით.

ამ მოვლენას შემდეგ არც ერთს მასწავლებელს არ ძალუძს სთქვას, რომ ის თავის შკოლაში არ ასწავლის სამშობლო ენას მთავრობის შიშით ან ბძანებით. თუ არ ასწავლის—ეს აიხსნება ან მასწავლებლის უვიცობით, უცოდინარობით, განუვითარებლობით და ან თავის მოვალეობისა და სინიდისის, ერისა და სამშობლოს ღალატით და გათელვით, თვარა აქ ვისიმე შიში ყოველთვის უნაყოფოა.

ვსთქვათ, რომ საშკოლო მთავრობის წარმომადგენელ ბიუროკრატ-პოლიტიკანებმა ზოგიერთს მასწავლებელს მუქარით და სხვადასხვა გაიძვერობით უკუაგდებია და გაანიავებია ის სასარგებლო დებულებანი, რომელიც ეხება სამშობლო ენის სწავლებას ჩვენს შკოლებში და რაც ისეთ აუცილებლობათ დაგვანახა თვით ცხოვრებამ, რომ ბოლოს ის დაკანონდა „81 წლის პლანი“-ს, „1907 წლის წესდებათა“ და სხ. სახით; მაგრამ ამავე დროს სამშობლო ენის დიად მნიშვნელობას ორი რამ უკარნახებს ჩვენს მასწავლებლებს და ეს კარნახი იმდენათ მძლავრი და კანონიერია, იმდენათ საჭირო და სამართლიანია, რომ მისი უყურადღებოთ დატოვების უფლება მათ არ აქვთ.

„ბავში არ სწავლობს დედა-ენას, როგორც უბრალო ნიშნებს და სიტყვებს—ის სწოვს სულიერს ცხოვრებას დედაენის მკვებავ ძუძუდან; იგი უმარტებს მას ბუნებას ისე, როგორც ვერც ერთი ბუნების მეცნიერი ვერ განუმარტებდა; იგი აცნობებს მას ადამიანის ხასიათს, ხალხსა, საზოგადოებას, მის ისტორიას, მის მისწრაფებას ისე, როგორც ვერც ერთი ისტორიკოსი ვერ გააცნობდა; იგი უხსნის მას ხალხის რწმენასა და მის პოეზიას ისე, როგორც ვერც ერთი ესტეტიკოსი ვერ აუხსნიდა; იგი ისეთს ნათელს ფენს მის მსჯელობასა და ფილოსოფიურ შეხედულებას, როგორც ვერცერთი ფილოსოფი ვერ მოფენდა“,— ამბობს რუსის გამოჩენილი მასწავლებელი უშინსკი „დედა-ენა“ში (თარგ. ივანე მაჩაბლისა).

ა. „დედა-ენა“—ერის მაცოცხლებელი ძალაა.

აი, როგორ გვისურათებს დედა-ენის მნიშვნელობას ეროვნული განძის თვალსაზრისით იგივე დიდი უშინსკი:

„ჩამომავლობა ჩამომავლობაზე აგროვებს დედა ენის სალაროში ღრმა გრძნობათა ნაყოფს, ნაყოფს ისტორიულ მოვლენათა, მათ სარწმუნოებას, გამომხატველობას; სტოვებს კვალს გავლილი მწუხარებისა და სიხარულისას,—ერთის სიტყვით თავის სულიერ ცხოვრების ნაყოფს ერი მოწიწებით ინახავს დედა ენაში; ის არა თუ ხალხის სიცოცხლის გამომხატველია,—ის არის თვით სიცოცხლე. როცა ხალხის ენა ჰქრება,—ჰქრება ხალხიც. წაართვით ხალხს ყველაფერი—და ის ყველაფრის დაბრუნებას შესძლებს, მაგრამ თუ ენა წაართვით—ის თავის დღეში ველარ შექმნის მას. მოკვდა ხალხის ენა და მოკვდა ხალხიც“!

ვხედავთ სამშობლო ენის სიდიადეს და მასაც, თუ რა ვალი აწევს ჩვენს მასწავლებლებს კისრათ. სამშობლოს სიყვარული, სინიდისი და ადამიანობა ყოველ მასწავლებელს ეუბნება: „ის ძლიერი იარაღი, რომელიც უმთავრესი წყაროა ერის არსებობისა და რომლის გაქრობა იწვევს თვით ერის გაქრობას, შენ—ხალხის მასწავლებელო—უნდა შეაყვარო ხალხის შვილთ. შეაყვარო ისე მტკიცეთ, რომ მათ იგრძნონ ამ იარაღის ფასი, სიძლიერე, სიდიადე და წმინდათა-წმინდათ ჩაიბეჭდონ თავიანთ გულში“ მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ზოგიერთი მასწავლებლის გონებაში ეს ღვთიური ხმა ადგილს ვერ პოულობს. რამდენია ისეთი შკოლა, სადაც დედა-ენაზე კრინტი არ იძვრის? თავის გასამართლებლათ მთავრობის შიშსა და მუქარას გვისახელებენ.

მაგრამ, ვიმეორებ, ეს შიში და მუქარა უადგილოა. ქუთაისის ქალაქის გამგეობის გამარჯვებამ ცხადათ დაანახა მასწავლებლებს, რომ მათი ბედ იღბალი დირექცია-ინსპექციის წარმომადგენლების პირად სურვილზე არ არის დამოკიდებული; რომ ყოველი მათგანი არსებული სახელმწიფო კანონით და ზნეობრივათ ვალდებულია სამშობლო ენას შესაფერი ადგილი დაუთმოს შკოლაში.

მაშასადამე, ის მასწავლებელი, რომელიც თავის წმინდა დანიშნულებას ღალატობს და გადამთიელთა დასაგმობ მიზანს სიხარულით ეგებება, საკრულავია ყველგან, გასაკიცხია ყოველთვის და საზიზღარია ყველასათვის.

და ნუთუ რომელიმე ჩვენი მასწავლებელი მოისურვებს ასეთ სამარცხ[...] ბოძზე თავის გაკვრას?!

— —

P. S. მოვუწოდებ შეგნებულ მა[...]ლებლებს,—გამოაშკარავონ პრესის [...]ვალებით ყველა ის მასწავლებელნი, [...]მელნიც სავსებით არ დაიცავენ [...] წლის პლანს“.

გ. ა—[...]

## დღიური.

— სერბიამ გადასწყვიტა ადრიატიის ზღვის მახლობლათ რკინის გზა გაიყვანოს.

— მთაშავეთ-სერბიის საზღვრების საკითხი გადაწყდა. მთაშაველებმა სერბელთა მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

— ცნობაა—ბულგარეთი და ოსმალეთი საბერძნეთის წინააღმდეგ შეკავშირდენო.

— ოკტომბრისტები ნაციონალისტებთან შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებაზე უარს ამბობენო.

— ტიმაშევი თხოულობს საზღ[...] [illegible] ნავთის გადასახადი გა[...]დეს.

— სპარსეთის მთავრობამ [illegible] 1000 დარმი გამოიყვანა. ლურები სპარს[...] ხალხს სცარცვავენ.

— ბაქოს გაზეთი „ბაკუ“ 500 თით დააჯარიმეს.

— ლონდონში ტრამვაიის 30 მუშა გაიფიცა.

## წინამძღვარიანთ კარის ლამპა[...]

წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო [...]ლოს შეუმცდარათ შეიძლება კაცმა [...] დოს ლამპარი და ამ ლამპარს [...] ფარგალი არა აქვს. სინათლე მისი [...] სების ღილიდან სწვდება ჩვენი ქ[...] ყოველ კუთხეს, დაარსების დღიდან [...] მოცდილ მეურნეთ უმზადებს იგი [...] ზავნის ჩვენი ქვეყნის ყოველ მხ[...] ოცდაათი წელიწადია ამ ღვაწლს [...] ეს სასწავლებელი, ოცდაათი წელი[...] ეს ლამპარი აანთო ილია წინამძღ[...] შვილმა.

ილია წინამძღვრიშვილს შკოლის [...] არსების დღესაც არ ეთქმოდა [...] გაზდა... იგი იმ დროსაც ხნიერი [...] იყო, დღეს ოცდაათი წელიწადიც [...] მიემატა, მაგრამ იგი ახალგაზრდული [...]გიით, ყრმის ატაცებით უძღვება ამ [...] საქმეს და ბეჯითი, ერთგული შრ[...] გასკვნელს საფუძველს ზედ დააშენა [...] ცე კედლები ჩვენი ქვეყნის საკ[...] დღეოთ. დაუფასებელია ილ. წინამ[...] შვილი ღვაწლი: ვერანა, პარტახ[...] ლებიდან მისმა შრომამ სამოთხის [...]რი ბაღი შექმნა, საიდანაც სამე[...] ცოდნა ეფინება ჩვენს ქვეყანას.

## მარშლების არჩევანი მოახლოებულია.

### ხამზადისი

აპრილის თვე.

ყველაფერი მზათაა... შიკრიკები ყოველგან დაგზავნილია, რიონ-გაღმა აზნაური ყველა დავლილია. ფოშტის პენსიონერი უსიკვდილოთ ჩამოვა, ეტლის ფული და სხვა სახარჯოც მიღებული აქვს, უთუოდ უნდა ჩამოვიდეს, ხანის წყალი გასასვლელი ექნება, მარა ხანის წყლამდი ჯორითა და ხურჯინით მივა და იქ ეტლი დახვდება. ჩამოვა უთუოდ ნაპრისტავალიც სიარული უჭირს, მარა ეტლი ყველას მიიყვანს დამზადებულ აივანთან. ახალ ნორჩი მხარზე და ჩოხა ახალოს სირმა დახლართული ხო—რა თქმა უნდა—თავის დროს არ მოაკლდება, ის მარჯვე ყმაწვილია, ყველა ქვრივი და გასათხოვარი დავლილი ეყოლება. ქვრივებს ვექილობას გამოართმევდა, გასათხოვრებს პირობას მისცემდა ვის შერთვაზე, ვის გათხოვებაზე და კენჭებიც ჯიბეში ექნება, მარჯვე და რაინდი ყმაწვილია, მოკეთეც არის.

რიონ-გაღმა მხარე მზათ არის. ვაკედან მობძანდება ხმალ-ხანჯალში გამოწყობილი პატარა ტანისა, მის მიხვრამოხვრას „პაჩინკობა“ ეჭივრება, წელში მეტათ იღუნება, ფეხის ცერებს შიგნით აპიჯებს, მარა არა უშავს რა. ამ მოხუცს ყოველთვის მხიარულს, ერთი ხასიათი აქვს, ყველას უცინის, ყველას მიესიყვარულება, ყველას თეთრი კენჭის მიცემას შეპირდება, მარა...

მარა მაინც საიმედოა საიმედო ჯიბესთან დაახლოებული. ამას ხო ძმა და ბიძაშვილიც ჩამოყვება და იქ ვაკეში ბევრი სხვაც მოიძებნება. სტანისლავის ოიდენი პანტასავით არის დარიგებული. ასეთი ორდენ-მოსილნი, სადაც გამბედაობაა, ენერგია და ხერხია, იქ ყოველთვის თეთრი კენჭით არიან. ეს ჩვენი მიხეილი ერთობ ახირებული კაცია, საზოგადო საქმეში მეტათ ძუნწია, ყველაფერს ხელს უჭერს და ყველას აყვედრის: სადაა შეძლება, ამდენს ხარჯს რო სწევთო. მარა ბოლოსდაბოლოს ყველასა და ყველაფერზე თეთრ კენჭს იძლევა, თუ მარტოკა არ დაურჩა კენჭის ჩაგდება; გამარტოება სიტყვით ძლიერ უყვარს, პროტესტანტი ძლიერია, მარა ნასადილევს, როცა სტუმრებს კარგათ გამოალეშებს, და ეს მას ხშირათ ემართება, ყველაფერზე დაგეთანხმება, დაპირებულ სიტყვას არ შესცვლის. ხალხში თავის გამოჩენა, ქვეყნის ერთგულათ გამოყვანა სრულებით არ შეიცავს მის ხასიათში თეთრი კენჭის მოუცემლობას, რაც უნდა სთქვას, რაც უნდა თავი გამოიყოყჩოს, ის ყოველთვის ჩვენი იყო და იქნება; ვექილობაში ცოტა არ იყოს დარცხვენილია, პარუსკობა უჭირს, მარა არაფერია.

ასე ფიქრობდა, ასე მსჯელობდა თავის თავისთვის მუცელ წამოსივებული და ხელ-პარტყა, რომელიც გორავდა ნიგვზის ქვეშ ჰილობზე; მწვანე კოინდრის ეზო აშვენებდა მის დროებით დიდებას, ახლანდელი თავად-აზნაურობის ვითომდა დამცველს, მექომაგეს.

— რაო ვითამ,—ეუბნებოდა თავის თავს,—განა ტყვილათ ჩაივლის ჩემი მუხიანის ლოცვა, სამტრედია-ხონში დიდი ბატონის შეხვედრა-გამასპინძლება, ყველგან ხომ კარგი სიტყვები და მჭერმეტყველობა გამოიჩინეს, ვასიამოვნე ბევრი ჩვენს დიდ ბატონს, დამისწავლის, თუ ამომარჩიეს, და ეს განა საეჭვოა, რასაკვირველია, ჩემი სტუმართ მოყვარეობა არ დაიკარგება. თუ „გუბერნსკი“ ვიქენი, შემოდეგის ნასუფრალი იქაც არ დამაკლდება, სამაზროში ხო მშვიდობაა და მშვიდობა!..

ამა დროს ჭიშკარი გაიღო და ცხენიდან ჩამოხტნა ერთი ჭაღარა შერეული ჩასკვსილი, ცხოვრების გამონაცადი, ეტყობა, რჯულზედაც ხელაღებული, გამოქნილი დალალობაში, მედიატორობაში და გამცემლობაშიდაც. ეს ის არის, რომელიც ყმაწვილობიდანვე სოფელში ყველა ოჯახში გაცნობილია, ყველგან მგალობელი, ყველგან მომლხენი... საქმე კი არაფერი აქვს, ყმები დასახსნელი არ ყავდა, მარა თავს მებატონეს ეძახდა, ცხენი ოჯახში არ ყოლია, მარა ფეხით ყოველთვის წინ უსწრებდა სოფელში ყველა სტუმრათ ჩამოსულს. საცა დასაბინავებლათ ისინი ჩამოხტებოდენ, იგი პირველი მერიქიფე, გამკარგულებელი, მეღვინეთ უხუცესი იყო.. ცალ ფეხზე დეზი ეკრა, მათრახიც მოუშორებლათ ხელში ეჭირა, ვითომდა ცხენის პატრონი იყო, მხიარულობა და მოსწრებული სიტყვა არაოდეს არ შორდებოდა, ყველას ამხიარულებდა მისი ქვეითობა, მარა არავინ იცოდა კი, ასე რისთვის დასდევდა ეს ყმაწვილი ამ ასაბიას, რას რჩებოდა, რა სარგებლობას პოულობდა. ამისთანა ტიპები ჩვენში ახალი ხილი არაა და ახლად ეზოში ჩამომხტარიც სირმა ვერცხლით გამოჭედილი, ხმალზე უსისხლოთ ნაშოვარი ტემლაკით, მკერდზე დაუმსახურებელი სტანისლავით უსაქმურათ არ იყო შემოსილი. ის სულისდგმა გახლავს ჩვენი დიდიკაცის, განაგებს მთელს „საშემოდგო“ გასავალ-შემოსავალს. მთელი მაზრა მოვლილი ქონდა, სანამ ეზოში ჩამოხტებოდა, ყველა მეკენჭედან სიტყვა ქონდა აღებული და ყველას დაპირდა სამაგიერო პატივისცემას.

მარა ეს ჭაღარა შერეული ცხენიდან ვერ გადმოხტა ისე მარდათ, როგორც ჩვეულებათ ქონდა. ჩამოხტომის დროს სადავე ხელიდან გაუვარდა, მათრახიც ჩვეულებრივ უკან წელში ჩაკრული არ ქონდა, ცხენი ზოზინით მესერთან მიიყვანა, სადავე მესერზე გადმოაცო, ერთი მაგარი მათრახიც უწყვიტა ცხენს, არ ვიცით რისთვის, რათ შესწყრა აგრე მის რაშს. ეს კი ვიცით, რომ ეს ბეჟუკას რაში, რომელიც ძველი ბაჩას ჩამომავლობისაა, ტანათ პატარა, ისე კი უჭმელობისა და უსმელობის დიდი ამტანია და ქუთაისში ჩამოსვლა ჭირივით ეზარება, მისთვის რომ აქ მისი მომხედავი არვინაა, მთელი დღეობით ამ სახით მესერზე მიკრული თავად-აზნაურობის კრებების დროს, ცას შეყურებს, კაცი მისი შემხედვარე არ გამოჩნდება. არის და არის მესრებზე მიკრული, ხან ცალ ფეხს აიკოჭლებს, ხან მეორეს, ვითომ შეინძრ-შემოინძრევა, გაიხედავს საბზლისდენ, უყურებს მწვანე კოინდარს, ნერწყვი გადმოდის, მარამ ვინაა პატრონი კაცი... აბა, კოინდარზე. მარშლის ეზოში ვინ გაუშვებს!

ოოჰ! რა რიგათ ეზარება მას ამ თავად-აზნაურობის კრებაზე ჩამოსვლა ქუთაისში! მისი ბატონი და ვითამ პატრონი ბეჟუკა, ვინ იცის, ზუთხითა და ღომით იკუპრება ყოველ დღე. საბრალო ბაჩუკას კი ერთი კონა ხმელი ჩალაც არ გააჩნია. დაბინდებისას დამძიმებული ბატონი შიმშილისგან ქანცგამოლეულს რაშს მოაჯდება და უნდა გაარონიოს ოც ვერსამდი, რომ მეორე დილით ისევ გამოაჩინდრიკოს ქუთაისს. და ასე სულ, სულ ერთი კვირა, ორი კვირა, ხან მეტიც... გონიერი სულდგმული სწუხს რომ ჩვენი მც ნარე თავად-აზნაურობა ერთი დღის საქმეს, ათსა და მეტ დღესაც ანდომებს, მარა მას ვინ რას კითხავს...

მარშალმა დაანახა თუ არა მისი მოკეთე, უცებ უნდოდა ხარხარით შეეგებებოდა, მარა რაღაც უცებმა ელვამ დაკრა მის გულს, არ იამა მას მათრახის წვეტინი, არ იამა მოსულის მოწყენილი სახე. შავ ტანის კაცია ჩვენი ბეჟუკა, მარა ლერწამივით გამართული, ჭაღარა შერეული აქვს, მარა წარბსა და ულვაშებს აგუნდალახუსტაკებს. ახლა კი ბეჟუკას ულვაშების ძირებს სითეთრე შეყოლია ერთობ გძლათ, წელშიც მოხრილია, სახე არ უღიმის...

— რა დაგემართა, ჩემო ბეჟუკო?! მიაძახა მარშალმა.

— ღვთის წყალობა ბატონს! მოახსენა ბეჟუკამ და შეჩერდა.

— რაო, რა დაღვრემილი ხარ, უარი გითხრა კიკოლამ?

— არა, კიკოლას უარი არ უ[...] ვექილობაც გაახლათ თავისი [...] მარა გასაჭირი სხვა შემხვდა, დაღო[...]ლი სხვაზე გახლავარ...

და ამას მოაყოლა ამბავი, თუ [...]გორ, რა გულის წყრომით შეხვდ[...] ბასილა მომცემლიძე, რომლისთვის [...]ლებული შეიქნა „სასალდათო“ [...] მანეთი დაებრუნებია პირობისამებრ[...]

— მე-კი, ბატონო, იმ სამასი მან[...] ვინ იცის, რას არ ვფიქრობდი. და[...] თქვენ გაწყენდათ ახლა სამასი მ[...] მიღება ამ სტუმრობაზე და დავ[...] ბაზე...

მარშალსა და ბეჟუკას შუა მ[...] გძელი არაოდეს არ ყოფილა. ერ[...] დაჭრით განკარგულებას მისცემდა [...]მე, მეორე ყველაფრის ამსრულ[...] უცებ მიუხვდებოდა. მარშლის [...] მისთვის წმინდა, თეთრი ქალალდი[...] მელზეც მას შეუძლია ყველაფერი [...] წეროს და ეს დანაწერი თვით მა[...] გულის სიტყვა იქნება, 'გულის [...]ლი ცემა. ძვირია ისეთი აქიმი, რ[...] მაც მარტო მაჯის ცემით ავათ[...] მდგომარეობა გაიგოს, ჩვენი ბე[...] მარშლის შიგ კუშში რამდენი გ[...] ხიზალალა თუ ლაფიცხოული ეწყ[...] რათ გეტყოდა... დიდი ალღოს [...] ჩვენი ბეჟუკა.

ბაჟუკას ამბავით ჩვენი მარშა[...] წყენი დარჩა, რასაკვირველია, [...] თქმით არაფერი უთქვამს, ოლონ[...] ლებზე გადებულ მუთაქაზე თითებ[...] მაშა, შემდეგ ცოტა შეიწ-შემოი[...] მოდგა, მხრები შეაქნ-შემოაქნია...

— კარგი, ბატონო! სთქვა და[...] გათავდა მათი მუსაიფი.

ბეჟუკი მიუხვდა, რა მწუხარებ[...] აწვა მარშლის გულს.

— ამაზე ბევრი ფიქრი არ არ[...] რო,—სთქვა მარშალმა,—საქმეს შევუდგეთ. ფულის ნაკლებობა [...] და იყოს, მთლად ფული არა ვ[...] რაც ურიებს თავად-აზნაურობის [...] ლობა დაგირავებული ქონდა, გ[...]

ასეთი ადამიანის ღვაწლი ღირსეულად
ადა აინიშნოს და მადლიერი საზოგა-
ება ამ თვის 29-ს, შკოლის 30 წლ.
ღვაწლობის იუბილეს, იმედია, აღნიშნავს
ეც ღირსეულად.

ამ ხანათ კი, ცხადია, ვერას ვიტყვით
ზე უკეთესს, ჭკვიანურსა და ლამაზს,
ც ილია ჭავჭავაძემ სთქვა ამ შკოლის
ხსნის დღეს. ილია შუა ჩაუდგა ბლო-
თავმოყრილ გლეხობას და ამ სიტყ-
თ მიმართა მათ:

ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა, დედა-
ას გული გადუხსნა, შიგ აუარებელი
ეველი სიმდიდრე ჩაუდვა და ადამიანს
ნდერძა: იშრომე, გაისარჯე და ეგ სიმ-
დრე დედამიწის გულიდან ამოიღე და
ნს სადღეგრძელოდ მოიხმარეო. ჩვენში
თქვენგან ხშირად გამიგონია, რომ
ისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვებისა
, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში, დაიბერტ-
ო. ამას იმიტომ ამბობენ, რომ ჩვენი
ყანა ბევრს სხვა ქვეყანაზედ უფრო
იდარია, უფრო სავსეა. არც თვითონ
ნა ვართ უხეირონი, ღმერთი-რჯული.
ავ-ძარღვად კარგები ვართ, ჯანი და
-ღონეც მოგვდევს, არც ხალისი გვაკ-
ია, ეს ყველაფერი გვაქვს. ეს მდიდარი,
არძალისავით მორთული ქვეყანა, ეს
ანიანი, მკლავ ძლიერი ხალხი, გამრჯე-
ი და ოფლის მღვრელი!.. მაშ, რადა-
ვართ ღარიბნიო?—მკითხავთ თქვენ.

იმიტომ, რომ არ ვიცით, სად რა სიმ-
დრე სძევს, სად რა განძია. არ ვიცით,
იდამ რა ამოვიღოთ. რა ხერხითა და
სტატობით ამოვიღოთ, რომ ჯაფაც ად-
ლი იყოს და ნაჯაფიც ბლომად. აკი
ამბობ, ყველაფერი გვაქვს, მარტო ერთი
ამ გვაკლია, სახელდობრ ისა, რაც თქვე-
სავე სიტყვით, თვითონ ღონესაც სჯო-
ია, რაც ძლიერს მკლავს ხერხიანად
მოქმედებს, რაც კაცის თვალს დედამი-
ის გულში ჩაახედებს, რაც კაცს წინ მი-
უძღვება ხოლმე და უტყუარათ ეუბნება:
, აქ ეს სიმდიდრეა, ღვთისაგან შენთვის
მიბარებულიო, ამას ამ ხერხით, ამ ოსტა-
ობით უფრო ადვილად, უფრო ბლომად
მოიღებო.

მაგისთანა ღვთისნიერ წინამძღოლს
ოდნა ჰქვიან. უამისოდ დედამიწა თავისს
ავსა და უხარბელს გულს არ გადაგვიხს-
ნის, ისე უხვად არ მოგვაბარებს, რამდე-
ნადაც ჩვენთვის მიბარებული აქვს. სხვა
ქვეყანაში, სადაც ცოდნა აქვს ხალხს, ოთ-
ხი დღის მიწა ისე უჭირველად აცხოვ-
რებს მთელს ოჯახს, როგორც ჩვენში
ოცისა და ორმოცი დღის პატრონი ვერა
სცხოვრობს. რადა? განა იმიტომ, რომ
ისინი მკლავ ძარღვით ჩვენა გვჯობნიან!?
არა იმათ ცოდნა აქვთ, ხერხი იციან.
„ხერხი სჯობია ღონესო“, თქვენგანვე
თქმულა და მართალიც არის.

ცოდნა ხომ ხერხია. მაგრამ თვითონ,
თავის თავადაც სიმდიდრე არის, მერე
იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მის-
დევს უხარჯოთ და უბარგოთ, ვერცა ვინ
წაართმევს, ვერცა ვინ წინ გადუდგება.
ეხლანდელს დროში ცოდნა ყველაფერია:
ფულზედაც დიდი ბაზარი აქვს, ხმალზე-
დაც უფრო მეტად სჭრის და ზარბაზან
ზედაც უფრო ძლიერია.

ღონიერი და ჭირთა მძლევი ის არის,
ვისაც ჭკუა ცოდნით მოურთავს, ცოდ-
ნის ძუძუთი გაუზრდია. „კაცი უნდა ხერ-
ხი იყოს, გაჭკონდეს და გამოჭკონდესო“,
თქვენგანვე მაქვს გაგონილი და დასწავ-
ლილი. მართალიც არის: კაცი სხვის მარ-
გეც უნდა იყოს და თავისის თავისაც,
კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა
ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაუ-
ლესია, ცოდნის ჩარხზედ გაუჩარხავს. მა-
შინ კაცს ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს
და თავისთვისაც შემოაქვს.

ეგ თქვენ თვითონაც კარგათ იცით.
თქვენ თვითონ ყოველდღე ხედავთ, რო
ეგ ეგრეა. ალოში გუთნის დედას მეტს
არგუნებთ ხოლმე, ვიდრე მეხრეს. რადა?
იმიტომ, რომ გუთნის დედა მცოდნეა და
მეხრე კი არა, ურმის მკეთებელი უფრო
მეტად ღირს, მოჯამაგირედ რომ დგება,
თუნდა უბრალო მუშა-კაცი ერთი-ორად
იმაზე მეტი იყოს მკლავითაცა და ჯანი-
თაცა. რადა? კიდევ იმიტომ, რომ ურმის
ხელოსანი მცოდნე კაცია და უბრალო
მუშა კი არა.

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თვითონ
თავის-თავადაც სიმდიდრეა მეთქი, მერე
იმისთანა მადლიანი სიმდიდრე, რომ, რაც
უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილა-
დო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ
მოგემატება. ამ შემთხვევაში ცოდნა ან-
თებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელ-
ზე რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო,
სანთელს იმითი არც ალი დააკლდება,
არც სინათლე, არც სიცოცხლე. პირ-იქით,
იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ
ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად და-
იწყებს ლაპლაპს,

სანთელს კიდევ იმითი გავს ცოდნა,
რომ თუნდაც ცოტა ბჟუტავდეს შორს
სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს
აფრთხობს,—იქ სინათლეა, სჩანს ჰლვი-
ძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი
ახარებს კიდეც იმითი, რომ იქ მღვიძა-
რენი დამხვდებიან და მიმასპინძლებენო.

სანთელს მარტო იმითი არა ჰგავს რომ
სანთელი: როცა იქნება ჩაიწვის და გაქ-
რება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდ-
ნა-კი თავის დღეში არა. მამიდგან შვილ-
ზე გადადის, შვილიდგან შვილისშვილ-
ზედ, უფრო გადიდებული, უფრო გაძ-
ლიერებული.

ცოდნა იმითია კიდევ კარგი, რომ იმან
უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც
საყდარი, როგორც ეკლესია, როგორც
თვითონ ღმერთი, ერთნაირად შეიკედ-
ლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე ძონ-
ძებში გახვეულს გლეხსაც და ბუზმენტე-
ბით მორთულს თავადსაც. ყველას ერთ-
ნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად
დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი
გულ-მონდომილი, მოწადინებული მივი-
დეს ცოდნის კარამდის.

ახლა სად არის ის კარი! როგორ შე-
ვიძინოთ ის სანატრელი განძი, რომელ-
საც ცოდნა ჰქვიან და რომელიც ჩვენ და
ჩვენს ქვეყანას ეგრე უჭირს? გამოვიდა
ჩვენში ერთი გულ-მტკივნეული კაცი და
გვითხრა: გზას მე გიჩვენებთო, თქვენ
ოღონდ ხალისი გამოიჩინეთო. ის კაცი
მარტო თავისის თაოსნობით, დაუღალა-
ვის მცდელობით, თავგამოდებით, მხნეო-
ბით, შეუდგა იმ ძნელს საქმეს და, თა-
ვისს სასახელოდ და ჩვენდა საბედნიეროდ,
აქ, ამ სოფელში აკვანი დადგა ცოდნის
გასაზრდელად და ძუძუსათვის ძიძები მო-
იწვია. ის კაცი ილია წინამძღვრიშვილია,
ის აკვანი აი ის პატარა შენობაა, რომე-
ლიც ასე ლამაზად უხდება ამ პატარა სო-
ფელს, ძიძები კიდევ მისგან მოწვეული
ოსტატები არიან.

აი სად და ვისი ხელით აინთება აქ ის
სასიხარულო სანთელი, რომლის სინათ-
ლეც მტერს დააფრთხობს და მოყვარეს
გაახარებს და რომელსაც ცოდნა ჰქვიან.
აი, ამ პატარა სახლიდან გამოვა ის დიდი
ღონე, ის დიდი ხერხი, ის ყოველთვის
და ყოველგან გამარჯვებული ფარ-ხმალი
ადამიანისა, რომელსაც ცოდნა ჰქვიან.
მაგას გამოიტანენ თქვენი შვილები და
მოჰფენენ ქვეყანას ჩვენდა სადღეგრძელოდ,
და საბედნიეროდ.

ცოდნა ბევრ ნაირია. ხოლო აქედან
თქვენი შვილები გამოიტანენ იმისთანა
ცოდნას, რომელიც დედამიწის გულში
ჩაგვახედებს, მიგვაგნებინებს, სად რა სიმ-
დიდრე უძევს და რა რიგის ხერხით, რა
რიგის ოსტატობით შეიძლება ამ სიმდიდ-
რეს ხელი დავაწვდინოთ, ამოვიღოთ და
მოვიხმაროთ ქვეყნისა და ჩვენის თავის
სადღეგრძელოდ.

მაშ გაუმარჯოს, ხალხო, ამ შკოლას,
ამ ცოდნის აკვანს! გაუმარჯოს ილია წი-
ნამძღვარიშვილს, ამ აკვნის დამდგმელს!
გაუმარჯოს ამ შკოლის ოსტატებსაც, რო-
მელნიც იმ აკვანს დაარწევენ, დასაძი-
ნებლად-კი არა, გასაზრდელად, გასაღვი-
ძებლად! გაუმარჯოს იმ პატარა კაცსაც,
თა-დს ბებუთაშვილს, რომელმაც დაუ-
ზოგველი, უსასყიდლოდ, მარტო ერთი
საქმის სიყვარულის გამო თავისი დრო
და ცოდნა ამ შკოლის აშენებას მოახმა-
რა! ღმერთმა გაუმარჯოს იმათაც, რო-
მელნიც დღეს აქ არ არიან, მაგრამ გუ
ლით კი ჩვენთან დღესასწაულობენ ამ
შკოლის გამართვას, რადგანაც მონაწი-
ლენი არიან ამ დიდის საქმისა. ღმერთმა
თქვენც გამარჯვება მოგცეთ ყველგან და
ყოველთვის. ღმერთმა შეგასწროთ იმ
დროს, რომ აქედგან, ამ შკოლიდგან გა-
მოსულს შვილს შეჰხაროდეთ და იმის
ცოდნით ფეხზედ წამოყენებულმა ოჯახმა,
გამოკეთებულმა მამულმა, თქვენის თვა-
ლით დაგანახოთ, რომ მართლა ,,ხერხი
სჯობია ღონესა“. მაშინ იქნება ჩვენმა
თვალმავე ისიც გვიმოწმოს, რაც გულში
მამა-პაპათაგან მარტო ანდერძათ ჩაგვრჩე-
ნია: ,,ის ურჩევნია მამულსაო, რომ შვი-
ლი სჯობდეს მამასაო“.

თქვენ იცით ხოლმე, როცა სიმღერას
გაათავებთ, იტყვით: თქვენი გამარჯვები-
სა იყოსო. მეც გავათავე, რაც სათქმელი
მქონდა და თქვენებურად, ჩვენებურად
გეუბნებით: .,თქვენი გამარჯვებისა
იყოს“.

---

ამ ჩემს ყუთში არ აწყვია. რამდენიც მინ-
და, ფულს იმდენს ვიშოვი და შევიდა „სა-
ხლეში“.

მეორე მაზრაში არჩევნების მზადება
უფრო გაჩაღებულია, უფრო ვაცოცხლე-
ბულია იქაური მეკენჭეების მოქმედება.
ამ მაზრაში მაზრული პატრიოტობა, მაზ-
რისადმი მიჯნურობა ახლახან გამოცხად-
და, ახლახან გაისმა იქ: „მაზრა მაზრისათ-
ვისო“. ისე როგორც მას ჟამსა შინა,
ლომბერიძეების დროს მეგრული მაზ-
რობა იყო, და კალისტრატობის დროს
„თერჯოლის აზნაურშვილობა“ იყო ალსა-
ვსებული.

ყველა მიმართულება ყოველთვის თა-
ვის საკერძო მასალას გამოძებნის ხოლ-
მე. ქათამი საკენკარს ნეხვში მოსძებნის
და ბაყაყი აშმორებულს მდორე წყალს.

ამ მაზრის პატრიოტობა პირველად
ერთმა განსწავლილმა და ვითომ განვი-
თარებულმა, შემდეგ პარტიის ბაყ-ბაყ
დევათ ცნობილმა ვექილ-ბაშმა თავს
იდვა. საქმე, აი, როგორ დაიწყო. გუ-
ბერნიის თავად-აზნაურობამ ითხოვა გუბერ-
ნიის თავადაზნაურობის წინაშე, რომ მას
თავისი გადაწყვეტილებით და სადაც
ძერ არს შვამდგომლობით, დახმარება
გამოეჩინა, რომ ქ. ოზურგეთში პროგიმ-
ნაზია გახსნილიყო. ეს ფრიად სასარგებ-
ლო თხოვნა ოზურგეთის მაზრისა, თურ-
მე ნუ იტყვით, მიზეზათ გახდა, რომ მე-
ორე მაზრას თავისი მაზრულიპატრიოტობა
გამოეჩინა, მაზრის პოზიცია დაეჭირა და
გამოსულიყო საკენჭობით სარბიელზე.
მერე ვინ იყო მაშინ მოთავე? ეს გახლ-
დათ ის ნაცარქექია, რომელიც ჰყლიტ
ყველას სწურავდა და დევებს ეგონა ქვას
წყალს ადენსო, შენ შენი ღმერთი მოვ-
კლორდეთ—კბილებს ჩაგვილეწსო. ნაცარ-
ქექია იგი, ვითომდა განათლებაზე დაყ-
რდნობილი, ბოლოს იცვნეს, რომ უბ-
რალო ვექილობაში გამოჭახრაკებული
ბეჭაში ყოფილა, რომელსაც სხვისი
შვილის მოტაცებისაც არ შერცხვებოდა,
თუნდ ეს ფული მთელი მაზრის საბედ-
ნიერო თანხაც იყოს, რომელსაც წმინ-
დათა წმინდა არც შინ და არც გარეთ
არ გააჩნია, რომლის ცხოვრებაა სიცრუე-
სიყალბით თავის გატანა, დღეს ჩემია
ხვალ სხვისი, ყველგან თავს იჩენს ჩვენი
ნაცარქექია...

ეს ვითომ ბაყ-ბაყ დევი მიეტმასნა ოპო-
ზიციას, და იცით,—რის წინაღმდეგ
წავიდა—პროგიმნაზიის დაარსებისა ოზურ-
გეთში... ცრუ დევმა გააცვიფრა ყველა.
განათლებული კაცი განათლების ტაძრის
წინაღმდეგ. ის კაცი რომელიც ხალხის
თვის იღწვის და სანთელივით იწვის...
ხოლო თვით მეტს იწვნის ხოლმე, საცა
მოასწრებს და როცა იქნება დაახველებს
კი ასეთი დევ-ნაცარქექიობა.

მარა ჩვენ დავუბრუნდეთ კვლავ ჩვენს
მაზრას. რამდენიმე მემამულეს ამ მაზრა-
ში ქონია $16^1/_2$ ქცევა ეზოზე ნაფუზვრე-
ბით მოკრული. აქ ბევრი ჩინოსანი,
ტემლაკოსანი, სტანისლავოსანი ყოფილა,
ყველა მაზრული პატრიოტობით აღჭურვი-
ლი და „საშემოდგომო შემოსავალში“
ხელჩართული, ცხადია, დაინტერესებუ-
ლი არიან კენჭობით და ამიტომაც და-
უბარებიათ ქუთაისიდან მიწის მზომელი,
რომელსაც გაუზომავს—გამოუზომავს და
აღმოუჩენია 16×200 დესეტინა ადგილი.
შეუყენებიათ ოქმი, „ვოდნი ლის-
ტით“ შესულან მამულის მფლობელო-
ბაში და ამ საბუთით 16 კენჭი ამოჩენი-
ლა მაზრაში და ყველას—ცოლს, ქვრივს,
გადიას, ძიძას, ბებიას, ქვისლსა და დიდ-
სა და ჩვილსაც მიუღია კენჭი და აპრი-
ლისათვის დარაზმულნი მოვლენ საბედის-
წერო ყუთთან...

— —

დიდი ფაცი-ფუცი, შეხლა-შემოხლა,
ქამანდები და ჭახრაკებია სხვა მაზრებ-
შიც... მიდიან-მოდიან, მასპინძლობენ,
ექათინაურებიან, ეალერსებიან და, რა
ვქნა რო „ვეზდესუჩში“ არა ვარ, აქ კი
მალე, როცა შეკრბებიან ყუთთან ყვე-
ლას სულში ჩაუძვრები და აგიწერ ყოვე-
ლივეს, თუ თქვენიანათ დამცალდა, მკით-
ხველო... მანამ კი მშვიდობით გამყოფოს
ძალმა ზეცისამ და მიწისამ...

**მოძმწე აზნაური.**

---

## პატარა ფელეტონი.

**პროტესტანტთა ხელმძღვანელებს.**

თქვენი რისხვა, პროტესტები,
გულისწყრომა და მუქარა
სამარცხვინო, სასაცილო
არ ღირს არცა ერთი ფარა.

— —

ცრუგზით მსვლელნი. ცრუმეტყვე-
ლნი
შეგიყრიათ ვით ცხვრის ფარა,
მახინჯ მცნების მქადაგებლათ
დაატარებთ კარის-კარა.

— —

და თქვენგანვე გამოწვრთნილი
მათში ზოგი მეტიჩარა
ილანძღება, ითათხება
როგორც ქუჩის ლაზღანდარა.

— —

მითი გინდათ ფონს გახვიდეთ,
მიაწიოთ მიზანს, მარა
ხალხმა გიცნოფ და თქვენს მცნებას
ქვა და ლოდი მიაყარა.

— —

უკუღმართი თქვენი ქცევა
მაცდურობათ აღიარა,
მიაწყევლა, მიაკრულა,
გადასცა და გადაჯვარა.

— —

რაც იცრუეთ, რაც იტყუეთ,
რაც იმუხთლეთ, ის არ კმარა,
ჯოჯოხეთის მოციქულნო,
შეუგნებელთ მატყუარა?!.

— —

ერთ დროს ბასრი თქვენი ხმალი
გამრუდდა და გაიხარა
დაჩლუნგებულ-დაჟანგული
აღარ გასჭრის არა, არა!

— —

ვერ გალესავს მას ვერც ჩარხი
ვერ გაფერავს ვერც ზუმფარა,
თუნდა ზედაც გადააკვდეს
ბლუზიანი ნახუცარა.

— —

თქვენი რისხვა პროტესტები,
გულისწყრომა და მუქარა
ჩალათაც არ მიგვაჩნია,
არ ღირს არცა ერთი ფარა.

**რუს-იმერელი.**

---

## წერილები რედაქციის მიმართ.

## ზუგდიდელი დეპუტატის გამო

ბატ. რედაქტორო!

თქვენი გაზეთის ას-მეცხრე ნუმერში
„ახალი ამბებ“ შორის ამოვიკითხეთ შე-
მდეგი: „დიდიხანია ზუგდიდლები თავ-
გამოდებით ცდილობენ, რომ შავი ზღვის
პირათ მიმავალი რკინის გზა ზუგდიდით
გაეყვანათ...

ამ საქმის შესახებ ზუგდიდლებს კრე-
ბა მოუხდენიათ და აურჩევიათ დეპუ-
ტაცია პრინცთან ასეთ საშვამდგომლოთ.
დეპუტაციაში არიან: თავ. გ. დადიანი,
დაბის დეპუტატი და ღვდელი ე. შენ-
გელია. ესენი უკვე ჩამოვიდენ ქუთაისს
და ამ მოკლე ხანში გაემგზავრებიან გერ-
მანიას, სადაც ახლა იმყოფება პრინცი“.

ამ ამბავმა ზუგდიდის საზოგადოება
ძალიან გაახარა, რადგან გაზეთის ცნობა
დეპუტაციის გამგზავრების შესახებ სი-
მართლეს ეთანხმებოდა და რამდენიმეთ
ამართლებდა საზოგადოების ნდობას დე-
პუტაციისადმი, რომ დეპუტაცია უსა-
თუოდ საზღვარგარეთ გაემგზავრება პრინ-
ცის სანახავათო, მაგრამ უნდა წარმო-
იდგინოთ რა განცვიფრებაში ჩავარდით
დეპუტაციაზე დაიმედებული პირნი რო-
ცა მეორე დღეს „იმერეთის“ ას მეათე
ნუმერში წავიკითხეთ: „გუშინდელ ნუ-
მერში „ახალი ამბავში“ შეცთომით იყო
მოხსენებული ვითომ ზუგდიდის დეპუ
ტაცია გერმანიას მიემგზავრებოდეს. დე-
პუტაცია პეტერბურგს მიდის, რადგან ოლ-
დენბურგის პრინცი ამ ჟამათ პეტერბურგში
იმყოფება. დეპუტაციაში შედიან: გ. და-
დიანი, დეკანოზი ევგენი შენგელაია და
კ. ხვიტია“.

მართალია, ჩვენ, ზუგდიდლებმა ავირ-
ჩიეთ დეპუტაცია პრინცთან საშვამდგომ-
ლოთ; მართალია, დეპუტაციაში შედი-
ოდენ: გ. დადიანი, დეკანოზი შენგე-
ლაია და კ. ხვიტია; ისიც მართალია,
რომ ორ მათგანს—დეკანოზ შენგელაია-
სა და გ. დადიანს ათასი მანეთი, თი-
თოს ხუთასი მან გადავეცით სამგზავ-
როთ, მაგრამ ის კი არ გვითქვამს, რომ
პეტერბურგს წასულიყვენ, ჩვენ დავავა
ლეთ უსათუოდ საზღვარგარეთ წასვლა
და პრინცის ნახვა ქ. ჰომბურგში (გერ-
მანიაში), სადაც იმყოფებოდა პრინცი
იმ ჟამათ. დღეს, როგორც გამოირკვა,
დეპუტაცია წინაღმდეგ ამორჩევლებისა,
ზუგდიდლების სურვილისა, მართლა,
როგორც გაზეთი გადმოგვცემდა, პეტერ-
ბურგს წასულა; იქ, რასაკვირველია პრინ-
ცი ვერ უნახავს და, როგორც იტყვიან,
„ცარიელი-ტარიელი“ დაბრუნდა ზუგ-
დიდს. ამბობენ ვითომ რაღაც ცნობები
ჩამოიტანა დეპუტაციამო, მაგრამ, არა
მგონია, ეს ცნობები, დეპუტაციის გა-
სამგზავრებლათ დახარჯულ ათას მანე-
თად ეღიროს.

ახლა „იმერეთის“ ას მეათე ნუმერში
მოთავსებულ ცნობას და ჩვენი დეპუ-
ტაციის მოგზაურობაში საკვირველი აი-
რა არის. დეპუტაცია ჩვენს შეკითხვაზე:
თუ რატომ საზღვარგარეთ არ წავიდა—
გვარწმუნებს, რომ ისინი ქუთაისიდან
პირდაპირ საზღვარგარეთისკენ გაემგზავ-
რენ, იმ აზრით, რომ როგორც დავალე-
ბული ქონდათ, ჰომბურგში პრინცი
ენახათ, მაგრამ გზაში, ვინმე „კუზიანი
პროფესორის“ (ეს სიტყვები ერთერთს
დეპუტაციის პირს ეკუთნის) რჩევით აზრი
გამოცვალეს და პეტერბურგისკენ წა-
ვიდენ, იქიდან კი გამგზავრება პრინც-
თან, რაღაც მიზეზების გამო უხერ-
ხულათ მიიჩნიეს და პრინცის უნახავათ
დაბრუნდენ ზუგდიდს. გაზეთი კი დაბე-
მდვილებით გვაცნობებდა დეპუტაცია სა-
ზღვარგარეთ არ მიდისო, რაც კიდევაც
გამართლდა. ამ შემთხვევაში იბადება
კითხვა: თუ დეპუტაცია, როგორც თვი-
თონ ირწმუნება, ქუთაისიდან იმ აზრით
გავიდა, რომ პირდაპირ საზღვარგარეთ
წასულიყო და პეტერბურგს წასვლა მხო-
ლოდ გზაში, სოჩა—ადესის შუა ვიღაც
პროფესორის რჩევით გადასწყვიტა, რამ
შეატყობინა ქუთაისში „იმერეთის“ რედაქ-
ციას ეს ამბავი, რომ სანამ პეტერბურ
გში წასვლას გადაწყვეტდა დეპუტა
ცია, ორი დღით ადრე გაზეთში ამოვი-
კითხეთ ეს გადაწყვეტილება?! ეჭვი
იბადება—რედაქციას ვინმემ აცნობა დე-
პუტაცია საზღვარგარეთ კი არა პეტერ-
ბურგს მიდისო და რედაქციას ვითომ წი-
ნა დღის შეცდომა გაასწორებია. მაგრამ
ვინ იცოდა ეს, ან ვის შეეძლო ამის
ცოდნა გარდა დეპუტაციისა, თუ რა
ქონდა გულში, სად აპირობდა წასვლას?
და თუ დეპუტაციაში მყოფმა ერთ-ერთმა
პირმა აცნო ნამდვილი განზრახულება
რედაქციას, მაშ დეპუტაციას ქუთაისში-
ვე სცოდნია პლანი მომავალი მგზავრო-
ბისა და, გასაკვირველია, დეპუტაციას
რათ დასჭირდა ზუგდიდლების წინაშე,
„პროფესორის“ რჩევა და სხვადასხვა მი
ზეზები რომლითაც თავს იმართლებს
საზოგადოების წინაშე?! სწორეთ საკვირ-
ველია!

ყოველშემთხვევაში, დიდათ დაგვა-
ვალებს ,,იმერეთის“ რედაქცია, თუ
გვამცნობს—რა წყაროებიდან შეიტყო
მან, რომ ,,დეპუტაცია პეტერბურგს მიე-
მგზავრებაო“.

ეს ცნობა მით უფრო საჭიროა, რომ
დეპუტაცია და მისი მოგზაურობის ამბა-
ვი ჩვენს ბულვარში საუბარის პირველ
საგანს შეადგენს და ბევრ სხვა მითქმა-მოთ-
ქმაც იწვევს, გარდა იმისა, რომ დეპუტაცია
ხელახლა ასარჩევი და გასაგზავნია პრინ-
ცთან.

**ნიკოლოზ ბუკია.**

---

**რედაქციისაგან:**

პარასკევს, 26 ივლისს რედაქციაში
ერთი ღვდელი შემოვიდა და განაცხადა:
დღეს თქვენს გაზეთში (№ 109) შეც-
დომით არის დაბეჭდილი, რომ ზუგდი-
დლების დეპუტაცია გერმანიას მიემგზავ-
რებაო. ჩვენ პეტერბურგს მივდივართო
თქვენ, ბატონო ვინ ბძანდებით-თქვა,
რო ვკითხეთ:—დეკანოზი შენგელაიაო.
გთხოვთ გაასწორეთ ხვალისვე ნუმერში
ეს ცნობა. ჩემი გვარიც შეცდომითაა მე
შენგელია კიარა, შენგელაია ვარო, დე-
პუტაციის ერთი წევრიო. რედაქცია ენ-
დო, ცხადია თვით დეპუტატის განცხა-
დებას მაღ მეორე დღ ს, 110 №-ში იმ
სახით გაასწორა თავის შეცდომა (?).

**რედ.**

---

# რუსეთი.

**პოლიტიკურ საქმეთა შესახებ ბჭობა.** სა-
ხელმწიფო სათათბიროს წევრის ნაციო-
ნალისტის დამჩენკოს ბინაზე კერძო თათ-
ბირი გაიმართა. თათბირს დაესწრო სა-
ხელმწიფო სათათბიროს (მესამის) თავჯ-
დომარე როძიანკო. ოქტიაბრისტი ან-
ტონოვი და ნაციონალისტი ბალაშევი,
ითათბირეს და შეთანხმების შესახებ, აგრეთ-
თარ გარკვეულ დასკვნამდი არ მისუ-
ლან.

**სახელმწიფოს ვალი.** სათათბიროში შე-
ტანეს სახელმწიფოს კრედიტების ხარჯთ-
აღრიცხვა, ფინანსის მინისტრის გა-
მოანგარიშებით სახელმწიფოს ვალი
1914 წლის 1 იანვრისათვის იქნება

საპაჭრო სახლი
ი. გოკიელის ძმ—ბის
ქუთაისში.

აუწყებს მოწაფეებს, რომ მათ შეუძენიათ დიდძალი საჭირო
საწერი, სახატავი და საკანცელარიო ნივთები
რომელიც პირდაპირ მწარმოებლისაგან არის ნაყიდი კარგი პირობებით.
სავაჭრო სახლმა ბევრ ნივთებზე გასულ წელთან შედარებით
ფასები დაუკლო.

ახლად მიღებულია ჩანთები (რანცები)
მოწაფეებისთვის და ძლიერ დაკლებულ ფასებში. ჩვენ მივაქცევთ მოწაფეების ყურადღებას ახლად გამოცემულ მოწაფეებისათვის
„დღიური" „Дневникъ"
რომელიც სრულიად [illegible] ლებას და შედარებით იაფ ფასათ იყიდება.

დეპოლ-მაღაზიის ქურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალერის ქ. ქუთაისში.
ფ. ხ. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე

მოიპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, ტაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის [illegible] ფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივისცემით ფ. ხ. ფილიპოვი.

8,811,380,139 მანეთი 1913 წლის განმავლობაში ვალს მოკლებია 30,343000 მანეთი.

**საბჭოს წევრების ჯამაგირი.** სახელმწიფო საბჭოს 119 წევრთაგან ჯამაგირს იღებს 101 პირი. მათ ჯამაგირათ ეძლევათ დაახლოვებით 1,365,944 მანეთი საბჭოს თავჯდომარე აკიმოვი წლიურათ 25 ათას მანეთს ღებულობს. მისი ამხანაგი გოლუბევი 16 ათასს. გრაფი ვიტე 20 ათას მანეთს. დანარჩენები 10—18 ათასამდი.

## უცხოეთი.

**ჩინეთი და იაპონია.** იაპონიიდან ჩინეთის წყლებში გარდა ორი ნალმოსანისა კიდევ ოთხი გაიგზავნა. იაპონიის მთავრობა აცხადებს, აგრესიული ზომები არ მამოქმედებს, რომ ჩინეთში ფლოტს ვაძლიერებო.

**სოც.-დემოკრატთა კრება.** იენში გერმანიის სოციალ-დემოკრატთა კრება გაიხსნა. კრების 3 სეკტემბერის სხდომაზე გაარჩიეს პარლამენტალური ფრაქციის მოღვაწეობა. პარლამენტალურ ფრაქციას ბრალათ სდებდენ—ვერ დაიცავი კარგათ რესპუბლიკანური პრინციპებიო.

**ბოიკოტი.** მუკდენიდან ცნობაა იაპონიის საქონელს ჩინეთში ბოიკოტს უცხადებენ და ეს ბოიკოტი ძალიან ვრცელდებაო. იაპონიის პრესა თხოულობს—მაკედონიაში სასტიკი პოლიტიკის წარმოებას.

**საფრანგეთ-ოსმალეთის შეთანხმება** საფრანგეთსა და ოსმალეთს შორის ფინანსიურ საკითხებში შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება სწარმოებს. ცნობაა —ეს ორი სახელმწიფო შეთანხმდენ კიდეც და შეთანხმების ქაღალდს ხელიც მოაწერესო. პორტა ნებას აძლევს საფრანგეთს—სირიასა და ანატოლიაში რკინისგზის კონცესიები აიღოს. თავის მხრით საფრანგეთი თანხმდება საბაჟო გადასახადის გადიდებასა და ოსმალეთისათვის 700 მილიონი ფრანკის სესხის შოვნას ოსმალეთს ეს სესხი ნოემბერში მიეცემა. ზოგიერთი გაზეთი ამ ამბავს უარყოფს.

## მადლობის გამოცხადება.

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის საშვალებით შეგვაძლებინოთ—უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ დაბა ხონისა და ჯიხაიშის მოვაჭრეთ და ყველა იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და ბაგრატის ტაძრის შემოქვიტკრის და გალავანის გაშვენებისათვის არ დაიშურეს თავიანთი წვლილი. სია შემომწირველთა: აქიმი პოლიკარპე ჩხიკვიშვილი 5 მან., მათე ბახტაძე 3 მან., აქ. ევსევი ლოსაბერიძე 3 მან., ღვდ. კონსტანტინე ქუთათელაძე 2 მან.; თითო მანეთი: მიხაილ ქუთათელაძე. დავით გლუშაკოვი, მოსიკო ჭელიძე, გრიგოლ ბახტაძე; აბ-აბაზი შაური: ლევან ჭილაძე, ვასილ ჭიშვილი, ალექსანდრე წოწონავა, ლაზარე დარსაველიძე, სერგო ლოლობერიძე, სერაპიონ ჭირაქაძე, კ. ქუთათელაძე, კ. კაკაბაძე, დავით რატიანი, სარდიონ მაჭარაძე, ერისტო ლეჟავა. ისლამ კარტოზია, გიორგი სანაძე, ხაჭაპურიძე და ბალავაძე, გრიგოლ მაჭარაძე. ორ-ორი აბაზი: გრიგოლ ლორთქიფანიძე, ნიკო ლეჟავა, ვარდენ ბახტაძე.

ბოდიშს ვიხდით, რადგან მოვაჭრეთაგან შემომწირველთა თვით მათ მიერ ხელით მოწერილი სახელი და გვარის უმრავლესობა ვერ გავარჩიეთ (უთუოდ სიჩქარის გამო, რადგან პარასკევი დღე იყო და ვაჭრობა ქონდათ) და მისთვის ყველას სახელსა და გვარს ვერ ვაცხადებთ. მათგან შემოწირული შესდგა 16 მ. 13 შ. სიამოვნებით უნდა შევნიშნოთ შემდეგი: კომიტეტის ორი წევრი წავედით დაბა ხონს ივნისის ბოლო რიცხვებში; მასწავლებლები და უმრავლესობა მოსამსახურე პირთა საზაფხულოთ იყვენ წასული. ვინც დაგვიხვდა, ყველა გულით მოეკიდა საქმეს და თავისი წვლილი არ დაუშურავს.

ულრმეს მადლობას ვუცხადებთ, აგრეთვე ღვდ. მამა კონსტანტინე ქუთათელაძეს, რომელმაც დახმარება გაგვიწია ფულის მოგროვების დროს. აგეთვე მადლობას ვწირავთ დაბა ჯიხაიშში დახმარებისათვის ბ.ბ. სერგი ლოლობერიძეს და დავით დევიძეს.

წევრი კომიტეტისა:
ღვდელი } რაჟ. ხუნდაძე.
} პ. ებანოიძე.

რედაკ.-გამომცემელი გრ. ერ. ჭელიძე.

## რკინის გზა

**ქუთაისიდან მიდის.**

**თფილისს:** სახალხო 5 ს. 10წ. დ.; სახ 10 ს. 6 წ. დ.; ფოშტ. 11 ს. 55 წ. დ.; სახ. 11 ს. 27 წ. ღ.

**ბათომს:** სახ. 5 ს. 10 წ. დ.; სახ. 7 ს. 5 წ. საღ.; სახ. 11 ს. 27წ. ღ.; ფოშტ. 5 ს. 21 წ. დ.

**ფოთს:** საავგარაკო 4 ს. 22 წ. დ.; სახალ. 5 ს. 10წ. დ.; ფოშტ. 5 ს. 21წ. საღ.; სახ 7 ს. 56 წ. საღ.

**შორაპანს:** საავგარ. 4 ს. 57 წ. დღ.

**ტყიბულს:** სახ. 7 ს. 50 წ. დილ.; სახ. 3 ს. 45 წ. დღ.

**ქუთაისს მოდის.**

**თფილისიდან:** სახ. 7 ს. დილ.; სახ. 8 ს. 26 [illegible] საღ.; ფოშტ. 6 ს. 56 წ. საღ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღამით.

**ბათომიდგან:** ფოშტ. 1 ს. 20 წ. დღ.; სახ. 11 ს. 14 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ. ღ.; [illegible] 7 საათ. დილ-

**ფოთიდან:** საავგ. 10 ს. 3 წ. დილ.; სახ. 1 [illegible] 20 წ. დ.; სახ. 1 ს. 26 წ.

**შორაპნიდან:** საავგ. 9 ს. 31 წ. დილ.

**ტყიბულიდან:** სახ. 5 ს. 11 წ. დღ. სახ. [illegible] საათ. 9 წ. დილ.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი პირველი
საბუღალტრო კურსებ
ნ. ვ. აბრაამიანისა
(დაარსებულია 1895 წ.)

„სავაჭრო ბუღალტერიის სახელმძღვანელოს" და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.

ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე სწავლა 4 თვე გაგძელდება.

მეცადინობა დაიწყება 15 სეკტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოთ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუღალტერის, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურათ იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციის; ვექსილისა და ვაჭრების უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს „სჩოტებზე" და კალიგრაფიის, არა სავალდებულოთ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანიზე ბეჭდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულათ და თეორიულათ მომზადებულნი.

**ატტესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტათ მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებით მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისთვისა და ანგარიშისათვის.

კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდი. და საღამოს 5—7 საათამდი.

კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულათ და პრაქტიკულათ მომზადებულ ბუღალტრებს, თანაშემწეებს კორესპონდენტებს და კანტორის სხვადასხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.

პირადათ და წერილობით მომართეთ კურსების დამაარსებელს თფილისში: ნიკოლოზის ქუჩა. 22, ს. ს. ტელეფონი 744.

ქართველ მასწავლებელთა საყურადღებოთ.

ქ. ქუთაისში კ, ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზ. იყიდება მისივე გამოცემა

ქართული სახელმძღვანელო

„საქართველოს ისტორია"

მესამე გამოცემა სურათებით და გეოგრაფიული კარტით, შედგენილი ბ. სიმონ ქვარიანის მიერ. წიგნი ღირს ყდით ორი აბაზათ.

„საქართველოს ისტორიის შესწავლის შესახებ".

ყოველი ერი მაშინ მიდის წინ და ვითარდება, ოცა იგი სწავლობს თავის წარსულს, თავის ისტორიას-ერის აწმყო და მომავალი ცხოვრებაუმთავრესათ დამყარებულია, მის წარსულზე. თუ თავის წარსულს არ გაეცნობა, ისე იგი ვერ გაიკვლევს გზას, როგორც აწმყო ცხოვრებაში, ისე აით უმეტეს მომავალში. თავის წარსულის უმეცარი ერი წააგავს იმ უკომპასო გემს, რომელიც უთავბოლოთ დაფუტიალობს ზღვის ტალღებში. სწორეთ წარსულის შესწავლა, თავის საკუთარი ისტორია იგივე კომპასია ყოველი ერისათვის. ამიტომ არის; რომ განათლებული ერები დიდი გაფაციცებით იკვლევენ და სწავლობენ თავის საკუთარ ისტორია, მათ შკოლებში უმთავრეს და უსაყვარლეს ხაგნებს შეადგენენ: სამშობლოს ისტორია, ენა და ლიტერატურა. ეს სამი საგანი მათ განათლების საფუძველია. ასე იქცევიან განათლებული ევროპის ერები, ასე იქცევიან რუსეთის საზღვრებში მყოფი შეგნებული ერები—პოლონეთი და ფინეთი. ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც. ამას გვიკარნახებს ცხოვრების სინამდვილე და მეცნიერება.

ქართველი ერის ჩამორჩენა და დაქვეითება. სხვათა შოვის, აიხსნება მით, რომ იგი არა აცნობს თავის დიდებულ წარსულს, რომლის შეგნებ გაამხნევებს მას, გააცნობს თანამედროვე ცხოვრებას, აღძრავს მის არსებაში მოქმედების ღრმა რწმენას და მისცემს უშრეტ ძალას წინმსვლელობისათვის. ყოველი ქართველი ზნეობივვთ ვალდებულია გაეცნოს და შეისწავლოს თავისი წარსული, ყოველი შკოლა მოვალეა შეასწავლოს ქართველ მოწაფეებს ისტორია,

ამ მოსაზრებით აქ სამი წლის წინათ ბ. სიმონ ქვარიანმა შეადგინა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო (ეპიზოდური კურსი) დაბალ კლასებისათვის. ამ წიგნში მოთავსებულია ქართველი ერის ცხოვრება უძველეს დროიდან დაწყებული რუსეთთან შეკავშირებამდი. ეს წიგნი მოიწონა მასწავლებელთა კომისიამ და პრესამ; აგრეთვე მოიწონა იგი იმერეთის ეპარქიულმა საბჭომ და შემოიღო სახმარებლათ მთელ საქართველოში, როგორც კერძო და სამოქალაქო შკოლებში, ისე სამინისტრო და სასულიერო სასწავლებლებში. თავის მარტივი, გასაგები ენით და საგნის მწყობრი დალაგებით ეს წიგნი გავრცელდა ოჯახებში და ფეხი მოიკიდა ხალხში. ეს სასიამოვნო მოვლენა იმის ნიშანია, რომ ქართველი ხალხი იღვიძებს და მასში იბადება სურვილი თავის სამშობლო ისტორიის შესწავლისა.

დღეს ბ. სიმონ ქვარიანის „საქართველოს ისტორია" გამოდის მესამე გამოცემათ ხუთი ათასი ცალი. გვწამს რომ მას შეხვდებიან ჩვენი შოლებში, ხალხი და საზოგადოება ისეთივე თანაგრძნობით, როგორც პირველი ორს გამოცემას. ამ მესამე გამოცემას ემატება კიდევ ქართველი ერის უდიდესი გმირის გიორგი სააკძის სურათი.

გამომცემული კ. ი. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზია. ქუთაისი.

КУРСЫ
кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.

ПРІЕМЪ
заказовъ на элегантные дамскіе наряды

M-me МАРИ

На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что специальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможность: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) зарабатывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого, до начала занятій остается немного. Поспѣшите записаться на курсы. Кандидатки сверхъ комплекта приниматься не будутъ.

Тутъ же при курсахъ открыта мною специальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угежденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.

*Адресъ* Кутаисъ, 1-ая Алексанровская улица, домъ Бокерія противъ бульвара.

Съ почтеніемъ M-me МАРИ.

ხრესილი.
სამკურნალო
აბანო
მეირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
ახლად თავით ფეხამდე განახლებული.

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმი) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

გ. მორდაძის და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომის და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ მალცევის ბემსკის მადნის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ"
რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:
საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილებანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პირდაპით და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.